

იოსებ სიბოშვილი

დოდორაქის მონასტერი



იოსებ სიბოშვილი

დოდორქის მონასტერი



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2015 წელი

გუძღვნი ჭეშმარიტ მართლმადიდებლებს,
სულით და ხორცით ქართველებს —
სოფელ უდაბნოს მოსახლეობას.

რედაქტორი

მანანა გორგიშვილი

დამკაპადონებელი:

თამარ ტყაბლაძე

გარეკანის დიზაინი:

გივი ხარაული

ISBN 978-9941-450-86-0

მისთანა მძოვარნი, დოდო და ლუკიანე,
ქართული მთიებნი, უღამონი ნათელნი,
უღალთა უწყლოდ, უპოვარნი კლეობენ,
შეილთ იმრავლებენ, გემოსა უგემონი,
აღიკარვებენ, დღეს მდინარით მდგომადმდი.

თქმული ნიკოლოზ თფილელის მიერ

მე-18 საუკუნეში (1760 წელი) გარეჯის მრავალმთის უდაბნოს დოდორქის მონასტერმა, ლეკთა მუდმივი თავდასხმების გამო, საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა. მისი უკანასკნელი წინამძღვარი გახლდათ მამა სვიმონი (ინაურიძე) (1740-1760წ.წ.)

250 წლის შემდეგ, 2010 წლის 19 მაისს, ლირსი დოდო გარეჯელის ხსენების დღეს, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დოდორქის მონასტერში განახლდა მოღვაწეობა და პირველი წირვა აღავლინა ურბნისისა და რუისის მიტროპოლიტმა იობამა (აქიაშვილი). ხოლო მონასტრის წინამძღვრად უწმინდესის მიერ დადგენილ იქნა სქემმდვდელმონაზონი (ამჟამად სქემარქიმანდრიტი) სერაპიონი (წიკლაური).

სანამ მონასტრის დღევანდელ მოღვაწეობაზე ვისაუბრებთ, ინტერესმოკლებული არ იქნება თუ მოკლედ მიმოვიზილავთ მის თოთხმეტსაუკუნოვანი ისტორიას.

ფეოდალური საქართველოს წინსვლა-დაქვეითება გარეჯის პოლიტიკურ-სოციალურ ცხოვრებაში აისახა. გარეჯმა თავისი არსებობის გრძელ მანძილზე სამი ძირითადი ეტაპი გაიარა: VI საუკუნიდან XIII საუკუნის მეორე ნახევრამდე იგი ხასიათდება განვითარების საერთო აღმავლობით, შემდეგ კი თანდათანი დაქვეითებით, ვიდრე XVII საუკუნის დასასრულამდე. XVIII საუკუნეში იწყება შედარებითი წინსვლა. მაგრამ მდგომარეობა მაინც ვერ უტოლდება აღნიშნული პირველი პერიოდის დონეს. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ადგილი აქვს გარეშე მტრის ხშირ თავდასხმებს. დასტურდება გარეჯის სრული გაუქმების

შემთხვევებიც. ასე მაგალითად, გარეჯი გაუქმებულია XV საუკუნის დასაწყისისათვის, თემურ ლენგის შემოსევების შედეგად, შემდეგ XVII საუკუნეში შაჰ-აბასის შემოსევის შედეგად. როგორც ჩანს, ამ ანიოკება-აოხრებაში ჩვენს თანამემამულეს გიორგი სააკაძეს ლომის წილი აქვს. ცნობილი სასულიერო მოღვაწე მიხაილ (გობრონ) საბინინი თავის წიგნში „საქართველოს სამოთხე“ წერს: „ამ მონასტერს (დოდო რქას ი.ს.) თვისი წინამდღუარი ჰყუანდა და თავისი საცხოვრებელი მამული. — 1615 წელსა, — წყევისა და გლოვისამან, ვითარ ამ მონასტერსა, ეგრეთვე სრულიად მრავალმთის მონასტერთა, მოუღო სრულიად ბოლო და დაამხო და მოწყვიტა წყეულ სააკაძეს მოწყალებისამებრ — შაჰ აბასის მიერ; უკანასკნელ დრომდინ იქმნებოდა მრავალმთის მყუდროობა, თუ არ აეოხრებინათ იგი სრულიად.“ („უწყება ღირსისა მამისა ჩუეინისა დოდოსთვის“ გვ.636).

რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც შედარებით მშვიდობიანი პერიოდი დაიწყო გარეჯის მრავალმთის უდაბნოში, ქართველებმა მონასტრების განახლებას მიჰყვეს ხელი. მაგრამ: „ბოლო მოუღო მრავალმთის მონასტერთა შემდეგ განახლებისა, მეფე ვახტანგმან, რომელმანცა ბერთუბნის მონასტერი სრულიად რუსეთში გადაიტანა, მცხოვრებითთურთ, აღსავლის კარიც კი წაიღო, არამც თუ სხუა რაიმედა გაუშვა: ხატნი და ჯუარნი და დიდი ნაწილი ფრიად შემკული მდიდრად, აქამომდე უსვენია სასახლის ეკლესიასა შინა, გრაფინა ანნა გიორგის ასულს ტოლსტიოს — და მამულების ჩამორთმევამ, ორთა დარჩომილთა უდაბნოთა დ. დავითისა და ნათლისმცემელისათა, სრულიად გაასაწყლა და დაამხო. ანინდელი ზუარი დ. დავითის მონასტრისა, რომელიც დაურჩენიათ ისიც დ. დოდოს საკუთარი არის. — ამით უნდა გავსაზროთ, ვითარმედ დ. დოდოს მონასტერი ფრიად სავსე იყო ჩუეინობადმდე — როგორც მოგვითხრობენ გარდაცემით. ბოლო დრომდის დ. მ. დოდოს მონასტერსა შინა რაოდენიმე მონაზონი ყოფილან მცხოვრებნი. შემდეგ გასაწყლობისა არ ვინ შესულა და ამისთვის სრულიად დაკეტილა მონასტერი. დარჩენილა იქ ერთი მწირი ბერი, რომელიც გადმოუყუნიათ დ. მ. დავითის მონასტერსა შინა და იქ აღსრულებულა; ამის შემდეგ

მთელი დოდოს მონასტრის სახმარი და ავეჯი, ორთა აწმყოფთა უდაბნოთა განუყვიათ, რომელნიცა ზოგიერთნი ინახვიან იქ და მრავალნი მათგანი ზოგი გაჰყიდეს, ზოგი ახალზე გასცვალეს მათთა წინამძღვართა...” (იქვე გვ.636-637).

დანგრევა, მითვისება, ყიდვა-გაყიდვა გაცილებით ადვილი საქმეა, ვიდრე აშენება, შექმნა და მოვლა-პატრონობა. საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა დოდორქის მონასტერი. დოდო გარეჯელს გარეჯის სამონასტრო კომპლექსის წარმოშობა-განვითარების ისტორიაში მის ადრეულ ეტაპზე განსაკუთრებული ადგილი უკავია. ამიტომაც შემთხვევით არ უწოდებიათ მისთვის გარეჯის უდაბნოს მესამე მნათობი. მღვდელ-მონაზონი დოდო VI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ქართველი საეკლესიო მოღვაწეა. დავით გარეჯელის თანამოღვაწეთა შორის, დოდო ყველაზე სახელგანთქმულია ლუკიანესთან ერთად. მაგრამ თუ ლუკიანე გარეჯის უდაბნოში წმიდა დავითის ერთადერთი თანამგზავრი და მისი პირველი თანამკვიდრია, წმიდა დოდო დავით გარეჯელისკენ მიემართება მის გარშემო მონესეთა თავშეყრის პირველ ეტაპზე. მაგრამ გარეჯის სავანეში მისულთაგან წმიდა დოდო პირველი არ ყოფილა. იმ დროისათვის მამა დავითს უკვე მრავალი სულიერი შვილი შემოეკრიბა ირგვლივ: „ვითარცა განმრავლდეს ძმანი და ესმა ჰამბავი მისი წმიდასა ღირსასა მამასა დოდოს, მოვიდა იგიცა წინაშე მამისა დავითისა და მოკითხნეს ურთიერთას”, „ხოლო მას უამსა შინა ისწავა სანატრელმან დოდომ წმიდისა დავითისათვის... აღიძრა ესეცა სალმრთოვითა სურვილითა და მოსწრაფებით მოვიდა მისა მიმართ”, — მოგვითხრობს წმიდა დავითის განვრცობილი ცხოვრება. „ესმა ესე წმიდასა და ნეტარსა დოდოს ესევითარისა კაცისა ანგელოზებრივი ცხოვრება, იწყალა ტრფიალებითა... აღიძრა წინამძღვარებითა სულისა წმიდისათა დამტევებელ-მან სოფლისამან და მიიწია კართა ზედა ქუაბისა მისისათა”, — აღნიშნულია წმიდა დოდოს ცხოვრებაში.

მ. საბინინი, ადრე გამოცემულ თავის შედგენილ წმიდა დოდო გარეჯელის ცხოვრებაში, დარწმუნებით აღნიშნავდა, რომ ნეტარი დოდო გარეჯელი იყო ქართველი წარმოშობით, მდი-

დარ კახელ დიდებულთა გვარიდან წარმომდგარი. თან იქვე მიუთითებს, რომ ყველა ხელნაწერისა და ხალხური გადმოცე- მის მიხედვით, წმიდა დოდო კახელ თავად ანდრონიკაშვილთა საგვარეულოდან ივარაუდებაო. მაგრამ ვინაიდან ანდრონიკაშ- ვილები საქართველოში 1167 წელს მოსული ბერძენი ანდრონიკე კომნენოსის შთამომავლები არიან, წმიდა მამისა ამ გვართან და- კავშირება მხოლოდ მდედრობითი ხაზით იქნებოდა შესაძლებე- ლიო. თუმცა ნათესაობით ამ ფორმასაც გადაჭრით უარყოფს. წმიდა დოდო, როგორც კახეთის თავადთაგანი, ანდრონიკანი, წარმოუდგენია, ასევე, კალისტრატე მღვდელ-მონაზონს.

წმიდა დოდოს კახელობა ხაზგასმულია ვახუშტი ბაგრა- ტიონთანაც. მასზე საუბრისას ბატონიშვილი ლაკონურად და თავდაჯერებულად მიუთითებს: „რომელიცა იყო ნათესავით და ქუეყანით კახი”. ეს საკითხი ასევე არის დანახული XVIII საუკუ- ნის ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში. რომანოზ მიტროპოლიტი წმიდა დოდოზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „იგი იყო კახეთისა სამთავროითა”. დოდო გარეჯელის ცხოვრება კი მოგვითხრობს, რომ „ესე წმიდა და სანატრელი, კაცი ანგელოზთა სწორი, მამა დოდო იყო მამეულად ძირთაგან აღმოცენებული და შობილი ქუ- ეყანით კახეთით”.

რომანოზ მიტროპოლიტი გვამცნობს, რომ დავით გარეჯ- ელთან შეხვედრამდე „ღირსი და ყოვლითურთ სათნო დოდო ყოფილა მონაზონი რჩეული და სათნო ღმრთისა”. წმიდა დოდოს ცხოვრების აღნერილობა, რომელიც, მხოლოდ სვინაქსარული ვარიანტის სახით არის შექმნილი, სავარაუდოდ, ასევე რომანოზ მიტროპოლიტის მიერ 1710-1726 წლებს შორის, ამ მოღვანის შემდეგნაირ დახასიათებას წარმოგვიდგენს: „მას უამსა იყო სანატრელი დოდო, მონაზონი პატიოსანი, სიყრმითგან მონა- ზონებისა სახესა და წესსა მიმღები და ქრისტესდა შემდგომი და ყოველთა სათნოებითა სრულიად უნაკლულოდ განსრულე- ბული და უზენაეს ყოველთა სათნოებათა მოღვანებისა ტრფი- ალი იყო”. დავით გარეჯელის გვიან შედგენილი სვინაქსარული ცხოვრების მიხედვით „მას უამსა იყო სანატრელი დოდო, მონა-

ზონი პატიოსანი”, რომელიც გარეჯის უდაბნოში მონაზონთა თანხლებით მიდის.

მაშასადამე XVIII საუკუნის გვიანდელ ცხოვრებათა მიხედვით, წმიდა დოდო ადრიდანვე გამორჩეული მონაზონი ყოფილა. რომანოზის თანახმად, ქრისტეს ეს უღელი მას სიყრმიდანვე დაუდგამს, გარეჯის უდაბნოში კი განდეგილობისადმი მისწრაფებას მიუყვანია. ხოლო სხვა ცნობით, მამა დავითთან მიმავალს მონაზონთა ამალაც ხლებია თან.

წმიდა დოდოს წმიდა დავითის ლავრაში დამკვიდრების შემდეგ ბერთა რიცხვი გაზრდილა: „ვითარცა წარხდეს მცირედნი დღენი შემოკრბა სიმრავლე სხუათა ძმათაი”. როგორც ჩანს, ძმობის ასეთი მატების გამო, დავით გარეჯელს მათი ნაწილისათვის ახალი სავანის შექმნის საჭიროება დაუნახავს. ამ საქმის თაოსნობისათვის ყველაზე შესაფერის პირვნებად მას სწორედ ღირსი მამა დოდო მიუჩნევია: „წარვედ, ძმაო, რქასა ამის კლდისასა, რომელ არს პირისპირ ჩვენსა და წარიტანენ თანა სხუანიცა ძმანი, რამეთუ წადიერ არიან, რაითა გარე ისჯებოდიან ხორცითა სულთა მათთა ცხონებისათვის”. ახალი სავანის შესაქმნელად მათ უნდა გამოეკვეთათ ახალი ქვაბ-სენაკები შემდგომი მოღვაწეობისათვის. წმიდა დოდოც, რასაკვირველია, ზედმიწევნით ასრულებს მამა დავითის მითითებას: „წარვიდა და აღაშენა უდაბნოთ იგი სახელსა ზედა ყოვლისა წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისასა”.

რომანოზ მიტროპოლიტი დავითის მიერ დოდოსათვის ცალკე სავანის დაარსების კურთხევის მიზეზად ასახელებს დოდოს მღვდლობას და დავითის მოღვაწეობის წესის გამო ძმათა დამწყსობისათვის მოუცლელობას: „რამეთუ მღვდლობისა წესი აქვნდა ღირსა დოდოს, ვინაითგან თვით მოუცლელ იყო წმიდა დავით და შექცეულ მიუდრეკელად დამტევებელ სოფლისა დაყუდებისა შრომასა, ამისათვის არწმუნა მოურნეობა სულთა, რათა ყოველივე საჭიროდ სახმარი საიდუმლო და ხორცითაცა სახმარი მიეცემოდესთ მოქენეთა”.

ღვთისმშობლის უდაბნოს დაარსებისას წმიდა დოდო და მისი საძმო, პირველ რიგში, წმიდა დავითის კურთხევის შესაბამისად,

კვეთენ წყალშემკრებ ავზებს და საცხოვრებელ ქვაბებს. ანუ იქმნიან აუცილებელ საარსებო პირობებს ახალ ადგილას მოსაგრეობის დასაწყებად.

თვით ღმერთშემოსილი მამა დოდო, როგორც ეს ასკეტ მეუდაბნოეთ სჩვეოდათ, ერთ პატარა გამოქვაბულში დაყუდებული ლოცვითა და მარხვით იხვეჭდა საღმრთო მადლს: „დაეყუდა ნაპრალსა ერთსა იწროსა, ვიდრე ერთსა ოდენ კაცისა დამტევნელისა, დღე და ღამე აღმვლენელი ლოცვისა ღმრთისა მიმართ ზამთრისა ჟამსა და ზაფხულისათა, ყინულსა და სიცხესა, დამთმენელი ღამისთევითა, მარხვითა, მდინარისებრ ცრემლითა უპოვარებითა”.

გარეჯის მრავალმთის უდაბნოთაგან რიგით მეორე და ერთერთი ყველაზე სახელგანთქმული მონასტრის დამაარსებელი წმიდა დოდო ხანგრძლივი და დაუღალავი მოღვაწეობის დასრულების შემდეგ დაკრძალეს მისესივე ქვაბ-სენაკში, რომელიც მონასტრის საძმოს მიერ გამოქვაბულ ეკლესიად იქნა გარდაქმნილი.

მ. საბინინის ზემოთ დასახელებული თხზულების თანახმად, ჯერ კიდევ ყმანვილობიდან ახსოვდა წმიდა დოდოს განსასვენებელი და როცა ამ ეკლესის სამხრეთ ნაწილი ჩამოიქცა, მისი აღდგენა-გამაგრება გადაწყვიტა, თუმცა, საქართველოს ეგზარქოს ევსევისთან მწვავე დამოკიდებულებების გამო, ვერ შეძლო ჩანაფიქრის განხორციელება. მოგვიანებით, საბინინმა მიტოვებული დოდორქის მონასტრიდან წმიდა დოდოს ნაწილების წმიდა დავით გარეჯელის უდაბნოში გადასვენება გადაწყვიტა და ეგზარქოსი იოანნიკესაგან შესაბამისი ნებართვაც მიიღო. 1880 წლის 16 მარტს მ. საბინინი და წმიდა დავით გარეჯელის უდაბნოს ბერები: მღვდელმონაზვნები სიმეონი (წულუკიძე) და იოსტოსი, მთავარდიაკვნები იოასაფი და სფირიდონი (გრძელიშვილი). აგრეთვე სამი მორჩილი წმიდა დოდოს სამარხო ეკლესიაში მივიდნენ. აი, რას მოგვითხრობს მ. საბინინი:

„ოდეს აღვედით ღ. მამის მონასტერსა შინა ძლივ მივაგნევით ღ. დოდოს საფლავის ეკლესიას, რომელიც სრულიად აღმოვსილი იყო ქვიშით და ლამით. ვიწყეთ პირუეილად აღმოწმენდა, შემდეგ იმისა გამოჩნდა ღ. დოდოს საფლავი, რომელსა ზედა დახატულ

იყო ხატი ღირსისა შეხვეული მაზარასა შინა, კამარით. საფლა-
ვსა ხელის ჩასაყოფი ჰქონდა, მიწის ამოსალებად, ევლოგიათ სა-
სოებითა და სურვილით მიმავალთა. ვინერ პარაკლისის გადახ-
და და ვედრება საშინელისა მის საქმისა, ხელყოფისათვის. ავხა-
დეთ სამჯერ გადალესილი დუღაბით დიდი ლოდები დაკრძალ-
ული წმიდათა მამათაგან სიწმიდე დამარხული. ლოდთა ქუეიშე
გამოჩნდა გაცხრილი წმინდა მინა და შემდეგ აღმოვიდეთ მინა
და გამოჩნდა ქვით დახურული საფლავი კლდისაგან აღმოკუე-
ითილი და ექუსი ნაჭერი პრტყელი ლოდები ედო ზედა, წმიდათა
ნაწილთა, რათა მინა არ შეხებიყო. საფლავითგან აღმოვიდო-
და მშუეინიერი სუნნელება, რომელიც ჰიდიან აქამომდენ წმ.
ნაწილთა ღირსისათა... ოდეს აღხადა პირუეილი ქუა ზემოთქმუ-
ლი და შემდეგ მისა მეორე და მესამე, სულ იყვნენ ექუსი, ღირსი
დოდო, სრულიად გამოჩნდა, როგორც იყო ჩასუეინებული ათას
ორასი წლის უნინარეს, წმ. მამათა მიერ, ისე შეხვეული მაზარა-
სა შინა, თავზე და პირზე ეხურა შავი დაფარნა ოქროკერილი და
ამასთანავე ფერხთა ზედა; გულზედ როგორც შემდეგ ვსცანით
ჯუარი ედვა, რომელიც წყლისა ნადენისა მიერ ჩაშლილ იყო,
გარდა ერთისა გრძელი ნაჭრისა, რომელიც ან ვითარ ძვირფასი
რაიმე ღუთის მშობლის ხატსა შინა გავაკეთე და ეკლესიასა შინა
უნდა აღვუმართო საქართველოს. ესე რა ვიხილეთ კაცი ზეცი-
სა და ანგელოსი ქუეინისა, ვეღარ დავუტევეთ ისრე, არამედ
რჩევისამებრ. მოვიტანე ფარჩის ზენარი და გავშალე საფლავის
პირსა ზედა და მოვინადინეთ აღმოსუეინება ღირსისა სხეული-
სა. მე ცოდვილმან მივჰყავ ხელი. საუბედუროდ ჩუეინდა ნადენ
წყალს დაებებკვა წმიდა სხეული; რომ არა ჰსდენოდა წყალსა,
წმიდა გუამი შეუშლებლად იქნებოდა სრულიად. შესამოსელი
ხელშივე ნაცრდებოდა, არამედ წმიდანი ნაწილი (ძუალნი) გარ-
და სხეულისა მშუეინიერათ იყვნენ დაკრძალულნი. წმ. ნაწილთა,
რომელთა წყალი არ შეხებიყო, ძუალთა ზედა შეხმობილი სხე-
ული აჩნდა სრულიად. გალობით და კმევით აღმოვასუეინეთ
წმიდანი ნაწილი ზენარსა ზედა; ოდეს სრულიად აღმოკრეფილნი
იყვნენ წმ. ნაწილნი, საფლავით, კუალად მივაფარეთ აკლდამა,
როგორც იყო". (გვ.638).

წმიდა წაწილები გადააპრძანეს, წმიდა დავით გარეჯელის ლავრაში და იქ დაკრძალეს.

მიუხედავათ იმისა, რომ მ. საბინინს ასე დეტალურად აქვს აღნერილი საფლავის ადგილი, მაინც იბადება ეჭვი, რადგან დოდორქაზე რამდენიმე მცირე ეკლესიაა, რომელთაც სამხრეთი წაწილი ჩამოქცეული აქვთ და სანახევროდ წაშალით არიან ამოვსებულნი. ამიტომ საჭირო იყო დამატებითი მტკიცებულებანი.

საბედნიეროდ ბ-მა თ. ჯოჯუამ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, მღვდელ პოლიევქტოს კარბელაშვილის (1855-1936 წ.წ.) პირად ფონდში ასეთ ცნობას მიაკვლია. კერძოდ, პ. კარბელაშვილს თავის ერთ-ერთ უბის წიგნაკში შეტანილი აქვს გარეჯის სხვადასხვა უდაბნოში მიკვლეული წარწერები. მათ შორისაა დოდორქის უდაბნოში მიკვლეული ერთი წარწერა, რომელიც ჩუბინაშვილისული პუბლიკაციის მიხედვით, გამოაქვეყნა და წაიკითხა თეიმურაზ ბარნაველმა: „დმერთო, შეიწყალე ამაზედ მშრომელი დეკანოზი, გიორგი, ამინ”, (აღნიშნული წარწერა XVII საუკუნით დათარიღდა).

მიკვლეული საარქივო ცნობის ანალიზმა მეცნიერებს უჩვენა, რომ პ. კარბელაშვილმა წმიდა დოდოს საფლავი დეკანოზ გიორგის წარწერის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად გამოიყენა, ხოლო მკვლევარებმა კი — პირიქით, სწორედ დეკანოზ გიორგის წარწერის დახმარებით მიაკვლიეს წმიდა დოდოს ძველ განსასვენებელს.

აღნიშნულ მოსაზრებას კიდევ ორი ფაქტი ამაგრებს. პ. კარბელაშვილის უბის წიგნაკში, დეკანოზ გიორგის წარწერის გარდა, დოდორქის უდაბნოში კიდევ ერთი წარწერა აქვს შეტანილი, რომელიც განეკუთვნება XVIII საუკუნის დასაწყისს და ჩუბინაშვილისული პუბლიკაციის მიხედვით წაიკითხა თეიმურაზ ბარნაველმა: „...შესავედრებელო, დამიცავ ცოდვილი ზაქარია”. როგორც ცნობა გვიჩვენებს, ზაქარიას წარწერა შესრულებული იყო, წმიდა დოდოს საფლავის დასავლეთით. საბედნიეროდ, ზაქარიას წარწერაც ცნობილია მკვლევართათვის. იგი წამდვილად შესრულებულია ზემოხსენებულ გუმბათოვან ეკლესიაზე დასავ-

ლეთიდან მიკრული ორი სენაკიდან ერთ-ერთში აღმოსავლეთ კედლის ნიშის თავზე.

მეორე, როგორც ზემოთ ითქვა, მიტროპოლიტი რომანოზის მიერ 1710-1726 წ.წ.-ში შედგენილ წმიდა დოდო გარეჯელის სვინაქსარულ ცხოვრებაში დაცულია ცნობა, რომლის თანახმად წმიდა დოდოს სამარხო ეკლესიაში, წმიდანის საფლავთან, კედელზე შესრულებული იყო წმიდა დოდოს ფრესკული გამოსახულება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს გუმბათოვანი ეკლესიის მოხატულობის აკადემიკოს შალვა ამირანაშვილისული აღწერა, რომლის თანახმად ეკლესიის ჩრდილოეთ მკლავის ქვედა რეგისტრში გამოსახული იყო მოხუცი ბერის სამოსში. ბ-ნი თ. ჯოჯუა ვარაუდობს, რომ შ. ამირანაშვილის მიერ აღწერილი ბერის სამოსანი მოხუცი მიტროპოლიტ რომანოზის მიერ ნახსენებ წმიდა დოდოს ფრესკულ გამოსახულებას უნდა წარმოადგენდეს.

ამჟამად წმიდა დოდოს განსასვენებლის გუმბათოვან ეკლესიასა და მიმდებარე სენაკებში მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები. ვფიქრობ, მისი დამთავრების შემდეგ ბევრ რამეს მოეფინება ნათელი.

ბ-ნი თ. ჯოჯუა კიდევ ერთ საინტერესო მასალას გვაწვდის: „სულ ახლახანს აკადემიკოსმა თინათინ ყაუხჩიშვილმა გამოსცა II ტომი წიგნისა „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“. ნაშრომში, აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილი ბერძნული ეპიგრაფიის სხვა ძეგლებთან ერთად შესულია თამარ ოთხმეზურის მიერ გარეჯის დოდორქის მონასტერში მიკვლეული და გამოსაცემად მომზადებული ჩვიდმეტი პილიგრიმული წარწერაც. წარწერები ამოკანწრულია დაახლოებით 1494(?) - 1596 წლებში. საბერძნეთიდან მოსული მომლოცველების მიერ. საყურადღებოა, რომ ჩვიდმეტივე წარწერა შესრულებულია დოდორქის მონასტრის, ჩვენთვის საინტერესო, გუმბათოვან ეკლესიაში. როგორც ჩანს, ბერძენ პილიგრიმთა უმთავრესი მოსალოცი ადგილი დოდორქის მონასტერში მცირე გუმბათოვანი ეკლესია იყო, რაც, თავის მხრივ, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ სწორედ აქ მდებარეობდა მონასტრის დამაარსებლის წმიდა დოდო გარეჯელის ძველი განსასვენებელი,

სიწმინდე, რომლის მადლსაც ისევე ემყარებოდა დოდორქის მონასტერი, როგორც წმიდა დავით გარეჯელის საფლავს გარეჯის წმიდა დავითის მონასტერში” (გვ.42-43).

ასე, რომ XVIII საუკუნე ავბედითი გამოდგა დოდორქის მონასტრისთვის. აქ საქმე ლეკიანობას ეხება. ერთი გვიანი ხანის (1830წ.) ხელნაწერის მინანერში კვითხულობთ: „წმიდის დოდოს ქართველის საფლავის ლავრა დაიცალა უღმრთოთა ლეკითაგან წელსა ჩლნე”- ს (1755წ). ამავე წელს დოდოელ მკვიდრს ასეთი რამ ჩაუწერია: „ამა ქორონიკონს თვესა სექტემბერსა ლ, დღესა ოშპაბათსა, მე ყოვლად უღირსი ხუცეს მონაზონი გერმანე დავიჭერ ძლიერად ლეკითაგან” (ხელ.აღნ. IV, 12, ფ 1044).



რაც ურჯულოებმა ვერ დაგვაკლეს, ის შეგვისრულა ერთმორწმუნე რუსეთის ნიღაბს ამოფარებულმა მასონურმა იმპერიამ, რომელიც მეტეოროვით შემოიჭრა დვოისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და ეგზარქოსობის უღელევეშ მოაქცია. ძველი მართლმადიდებლური ქვეყანა იძარცვებოდა და კნინდებოდა დედა ეკლესია. ანტიმართლმადიდებლური და ანტიქართული პოლიტიკის გასატარებლად იმპერია იყენებდა სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. ამ მიზნით საქართველოში ჩამოასახლეს: სომხები, ბერძნები, ლუთერანი გერმანები, დუხობორები, მალაკენები და ათასი რჯულის და ჯიშის ხალხი, რომელთა უმრავლესობა რუსეთის ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა და გამიზნული იყო ქართული ჯიშ-ჯილაგის ამოშანთვისთის.

ასე, რომ „დედაკაცნი უნიფრვონი და კაცნი მაკენი” (რუსების საბასეული განმარტება) მიზანმიმართულად შეუდგნენ ჩვენი სასულიერო და საერო ღირებულებების განადგურებას, რომლის გავლენა დღესაც აშკარად შეიმჩნევა თითქმის ყველა სფეროში.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში, ზოგიერთმა თავდადებულმა და მამულიშვილმა შეძლო ამოფარებოდა პარტიულ ნიღაბს და ეკეთებინა ეროვნული საქმე. 1940-იან და 1950-იან წლებში, სხვადასხვა ეგრეთნოდებული კომუნისტური „აღმ

შენებლობის” მიზეზით, კახეთ-ჰერეთის ბარში ჩამოასახლეს ყიზლარელები, ხარაგაულელები, ფშავ-ხევსურები, მესხები, რაჭელები. მიზანი იყო ერთი — აღმოსავლეთ რეგიონში ქართული მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა. 1980-იან წლებში საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ძირეული საკადრო ცვლილებების შემდეგ, დაიწყო სვანების ჩასახლება ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში. ამ პროცესმა სად და როგორ გაამართლა, ეს საყოველთაოდ არის ცნობილი. მე დღეს მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს შევეხები. სოფელ უდაბნოში სვანების ჩასახლებამ ის შედეგი გამოიღო, რომ მათ ეს სოფელი, სხვადასხვა კუთხის ქართველებთან ერთად, ქართულ ოაზისად აქციეს. გარეჯის მრავალმთის უდაბნოს დაუბრუნეს ძველი დიდება და დღეს იქ ქართული მართლმადიდებლური სული ტრიალებს. სწორედ ამ ძველი ქართული მოდგმის დამსახურებაა, რომ ურბნისისა და რუსის ეპარქიის წარმომადგენელთან ერთად შესაძლებელი გახდა აღდგენილიყო სამონასტრო ცხოვრება დოდორქაზე. უდაბნოში ერთი წუთით უყურადღებოდ არ ტოვებენ არა მარტო დოდორქის მონასტრებს, არამედ დავით გარეჯის და ნათლისმცემლის მონასტრებსაც. დიდიან-პატარიანად ესწრებიან წირვა-ლოცვას და იღებენ ღვთიურ მადლს. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს საერო და სასულიერო ცხოვრების წიგნში. აი ისინიც: გიორგი ჩართოლანი, რევაზ ჩართოლანი, ნელი-ნინო კვანძიანი, ნინო ბარლიანი, ლენა ჩარქესელიანი, დოდო-ნათია დადვანი, თემურ ასაბაშვილი, ანზორ ყიფიანი, სოზარ გულბანი, თინათინ მარგიანი, გიორგი იოსელიანი, ანა იოსელიანი, ცუცა ნავერიანი, მზია კორძაია, ისლამ-სამოველი გვიდანი, სირინო-ფიქრია მარგიანი, ლია პირველი, ხათუნა მარგიანი, გაბრიელ გვიდანი, ნინო გვიდანი, ელიზა ბექურაშვილი, გიზო გულბანი, ჯანიკო გულბანი, გიორგი გულბანი, ირაკლი იოსელიანი, ბაჩუკი იოსელიანი, გიორგი ხაჭვანი, გიორგი მარგველანი, დავით კვანძიანი, ბექა მარგველანი, ლუკა (მერაბ) გურჩიანი, ბექა მარგიანი, ლაშა მარგიანი, ვალერიანი (ვაკო) მარგიანი, დავით იოსელიანი, გაბრიელ (მარლენ) პირველი, ბექენ გულბანი, ირაკლი დადვანი, ალექსანდრე არლვლიანი, ლექსო ხაჭვანი, გიორგი

ხაჭვანი, გიორგი გულბანი, ბექა ასლამაზიშვილი, მიქაელ იოსე-ლიანი, ოთარ იოსელიანი, ერეკლე (ნუკრი) ფირცხელანი, გიორგი (ლერი) იოსელიანი, ვიტალი ხაჭვანი, მარგიანი ედუარდი, გიორგი (გუჯო) გუჯეჯიანი, მირიან დადვანი, ონისე (ოლეგი) ბარლიანი, ლევან ბარლიანი, სპარტაკ თოდუა, ლევან გურჩიანი, მედეა გულბანი, გიორგი გულბანი, რომანზ მარგველანი, დავით ჩართოლანი, ბექა გულბანი, გიზო გულბანი, კახა ხაჭვანი, ბაქარ ჩახმახაშვილი, მინდია ასლამაზიშვილი, გიორგი რატიანი, სერგო ხაჭვანი, მირიან ქანცლიანი, ჯიმშერ ჩართოლანი, პაატა გვარამაძე, ვეფხია ნიგურიანი, ნიკოლოზ ჭელიძე, გიორგი ფირცხელანი, ოთარ ნანსყანი, ბეთქილ ქალდანი, გიორგი თამლიანი, მამუკა გვარლიანი, ვაჟა გულბანი, ხვიჩა გულბანი, გიორგი ხორგუანი, შალვა გვარამაძე, ივრიკა გვარამაძე, თემურ კოხიაშვილი, გიორგი ციქიბაძე, ანდრია (ზაური) ცინდელიანი, ალბერტი გირგვლიანი, ოლეგ ფირცხელანი, გელა გვიდანი, თემურ გულბანი, რეზო ხაჭვანი, ბაჯი გვიდანი, შურო ფირცხელანი, ლაშა ფირცხელანი, გიორგი (გოგიტა) მარტიაშვილი, ეკატერინე გირგვლიანი, სოფო (ოფელია) მარტიაშვილი, თამილა გირგვლიანი, ლეილა უმფრიანი, ნესტან ფირცხელანი, მაია ფარჯიანი, მანანა გუჯეჯიანი, შუშანიკ (მადონა) თამლიანი, ნანა გირგვლიანი, მარიამ ხაჭვანი, ნუცა გასვიანი, ლევან ჩართოლანი, ავთანდილ ნანსყანი, იბრაგიმ სალილიანი, ნაზი ჩხეტიანი, ივანე-იოანე ჭელიძე, გიორგი იოსელიანი, ბაგრატ არღვლიანი, დავით მარტიაშვილი, თამაზ მარტიაშვილი, გიორგი გოგლიძე, ივანე ლუხუტაშვილი, მარლენ (მურად) გვიდანი, ბადრი გვიდანი, ილია გვიდანი, მალხაზ მურჯიკელი, მიხეილ პაქსაშვილი, რამაზ ჭავადვა, ირაკლი ჟორჟოლიანი, მირზა ივერიანი, ნანი კვანჭიანი, ნატო (ნატალია) ხასია, უენია გულბანი, მაშო გირგვლიანი, მაკა ქალდანი, შალვა არაბული, მამია ჩართოლანი...

უდაბნოელების დაწყებულ საქმეს, დოდორქის მონასტრის გახსნის დღიდანვე, გამოეხმაურნენ: პატარძეულელი ბასილი უნაფქოშვილი, სართიჭალელები — დალი კირვალიძე, ნინო სარჯველაძე, მარინე ნიკლაური, დიმიტრი ასათიანი და თქვენი მონა-

მორჩილი. რამდენიმე დღის შემდეგ კი ბევრი მორწმუნე დაიძრა მონასტრისაკენ სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად —

პატარძეულიდან: გიორგი უნაფქოშვილი, იმედა და ნუგზარ მეკოკიშვილები, შალვა პატარკაციშვილი, მიხეილ, დავით და გიორგი (ორი) უსტიაშვილები.

წყაროსთავიდან: მამუკა გაგნიაშვილი.

თელავიდან: შოთა დარჩიაშვილი, ამირან სამხარაძე, დავით ნეკერაული, გიორგი აბელაშვილი, თორნიკე ბუნიათიშვილი, მიხეილ მარგალიტაშვილი.

გურჯაანიდან: გიორგი სიბაშვილი.

სილნალიდან: გიორგი ტუხაშვილი.

საგარეჯოდან: გიორგი ქუმელაშვილი.

სართიჭალიდან: ალექსანდრე კოკოზაშვილი, გიორგი ნოზაძე, იაგო ჩულიაშვილი, ზურაბ ჩოქური, გოჩა შუბითიძე, შალვა შუბითიძე, მერაბ პაქსაშვილი, ბასილი ინასარიძე, ტარიელ გრიგალაშვილი, ივანე, ელგუჯა და ვახტანგ პაქსაშვილები, ჯაბა თოთბერიძე, დავით და გელა გველესიანები, გელა ნადირაძე, ბექა ბარბაქაძე, გიორგი ბლიაძე, ზვიად ბარბაქაძე, დავით გენგაშვილი, ლაშა პაქსაშვილი, თამაზ კუჭუკაშვილი, დავით ჩოქური, ვალერიან ბიჭარიშვილი, ნოდარ გიბიშვილი, შალვა სიბოშვილი და სხვა.


სულ ახლახანს დოდორქის მონასტრის ძირითადი ტაძრის გვერდით აღმოჩენილ იქნა, სავარაუდოდ, XIII-XIV საუკუნეების ეკლესია, რომელიც სასულიერო პირებისა და მეცნიერთა ვარაუდით წმ. იაკობ სპარსის სახელზე უნდა იყოს ნაკურთხი. კლდის ჩამოშლის შედეგად, ტაძარი საუკუნეების განმავლობაში მიწით იყო დაფარული. მიუხედავად ამისა ფრესკები შესანიშნავად არის შენახული.

ამჟამად დოდორქის მონასტრის წინამძღვარი გახლავთ სქემარქიმანდრიტი სერაპიონი (წიკლაური). მასთან ერთად მოსაგრეობენ და მსახურებას ეწევიან: ბერ-მონაზვნები: პავლე (ხაჭვანი), გრიგოლი (ბალაშვილი), თევდორე (ბარამაშვილი) და ბარსანოფი (ოსიტაშვილი).

ლმერთმა უმრავლოს საქართველოს მართლმადიდებელი მორწმუნენი.


გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები — „დოდო გარეჯელის ცხოვრება”. ტ. IV — თბილისი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა 1968წ.
2. მ. საბინინი — „საქართველოს სამოთხე”. პეტერბურლი, 1882 წელი.
3. ბ. ლომინაძე — „ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, ტ I თბ.
4. დ. მერკვილაძე — „წმიდა დოდო გარეჯელი” — უურნალი ამირანი 21 თბ. 2009 წელი.
5. თ. ჯოჯუა — „წმიდა დოდო გარეჯელის ძველი განსასვენებელი”, კრებულში: „ქრისტიანობა საქართველოში” — თბილისი 2000 წელი.





ღირსი დოდო გარეჯელი

შესახურის გეოლოგიური დოკუმენტის ხა საცავები



85 გეგუს 20 ნოემბრი 1938 წელი XVI საუკუნეები







ჭირების მნავანისთვის მონაცემი

დოკუმენტი

წარმოდგენის იურიდიული ფორმა





დოდორქის მონასტრის ახალი სატრაპეზოს და მასთან მდებარე
მონასტრის წინამდღვრის სენაკის გეგმა (XIX საუკუნე)



დოდორქის მონასტრის ძველი სატრაპეზოს და
ჯვარგუმბათოვანი ტაძრის გეგმა (XIX საუკუნე)

გრიგოლ მარტინეს განსაკუ
ღოღოს - ჩავა
მოვარდი კულტონი ყველა



დოდორქის მონასტრის მთავარი ტაძრის გეგმა (XIX საუკუნე)



დოდორქის მონასტრის მთავარი ტაძრის შესასვლელი



მთავარი ტაძარი მონასტრის აღდგენამდე



დოდორქის მონასტრის ჯვარგუმბათოვანი ტაძარი გასუფთავების
შემდეგ და ლირსი დოდოს საფლავი



გარეჯის მრავალმთის უდაბნოს დოდორქის მონასტერი



ჯვარგუმბათოვანი ტაძარი მონასტრის აღდგენამდე



დოდორქის მონასტრის ჯვარგუმბათოვანი ტაძრის საკურთხეველი




დოდორქის მონასტერში ახლადაღმოჩენილი ეკლესიის ფრესკები
(სავარაუდო XII-XIVს.ს.)




ღირსი დოდოს საფლავი



დოდორქის მონასტერში ახლადაღმოჩენილი ეკლესიის ფრესკები
(სავარაუდოდ XIII-XIV ს. ს.)



დოდორქის მონასტერში ახლადაღმოჩენილი ეკლესიის ფრესკები
(სავარაუდოდ XIII-XIVს.ს.)



დოდორქის მონასტერში ახლადაღმოჩენილი ეკლესიის ფრესკები
(სავარაუდოდ XIII-XIVს.ს.)




დოდორქის მონასტერში ახლადაღმოჩენილი ეკლესიის საძვალე




მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)



მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი)



დოდორქის მონასტრის წინამძღვარი სქემარქიმანდრიტი
სერაპიონი (წიკლაური)



ბერდიაკონი იოსებ მაშენებელი (კარელიძე)



დოდორქის მონასტრის წინამძღვარი სქემარქიმანდრიტი
სერაპიონი (წიკლაური) და
ბერდიაკონი იოსებ მაშენებელი (კარელიძე)



დოდორქის მონასტრის მამები მარცხნიდან მარჯვნივ -
სემარქიმანდრიტი სერაპიონი (წიკლაური) - წინამძღვარი,
ბერდიაკონი იოსებ მაშენებელი (კარელიძე) ბერმონაზვნები
გრიგოლი (ბალაშვილი) პავლე (ხაჭვანი), თევდორე (ბარამაშვილი)




დოდორქის მონასტრის მამები მრევლთან ერთად



დოდორქის მონასტერში პირველი მანათობელი ჯვრის აღმართვა



სტიქაროსანი ბასილი უნაფეროშვილი



სტიქაროსანი თამაზ მარტიაშვილი




მგალობელი თამარ მარგიანი




სოფელი უდაბნო (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი)




დოდორქის მონასტრის ჩუქურთმა



დოდორქის მონასტრის წინამძღვრის სენაკში
გამოკვეთილი ჩუქურთმა



დოდორქის მონასტრის წინამდლვრის სენაკში
გამოკვეთილი ჩუქურთმა



მონასტერში საღმრთო მსახურების განახლების დღიდან (2010 წლის 19 მაისი), იდუმალი ძალა მიხმობს ამ სიწმინდისაკენ. ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ ეს ყველაფერი ადრე მქონდა ნანახი და განცდილი. არქივებში მუშაობისას წავაწყდი ცნობას იმის შესახებ, რომ ჩემი წინაპრები, დედაჩემის დედის გვარიდან, ლაფერიშვილები ყოფილან დოდორქის მონასტრის ყმები, ხოლო მამის მხრიდან სიბოშვილები - ბერთუბნის ყმები. „სული სულს იცნობსო“ - ნათქვამია.

„დიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი“. „

ISBN 978-9941-450-86-0

9 789941 450860